

# 480 დევნილ ოჯახს ბინები საკუთრებაში გადაეცა

15 ნოემბერი 2018

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, გორში, ანწუხელიძის ქ. N1-ში მცხოვრებ 480 დევნილ ოჯახს ბინები საკუთრებაში გადაეცა. იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს საკუთრების დამადასტურებელი მონუმბები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ გრიგოლ გიორგაძემ, შიდა ქართლის გუბერნატორმა გიორგი ხოჯევანიშვილმა და ქალაქ გორის მერმა კონსტანტინე თავზარაშვილმა გადასცეს. 2013 წლიდან დღემდე, მთავრობის განკარგულებით, საქართველოს მასშტაბით საცხოვრებელი ფართი 17 000-ზე მეტ დევნილ ოჯახს დაუკანონდა და ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება.